საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
თბილისის სარეგისტრაციო სამსახური

გადაწყვეტილება N 882014655960-03 (04.12.2014)

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა განცხადება (No. 882014655960; 04 დეკ 2014; განმცხადებელი: შპს 'NGS Group', მისამართი:). განცხადებით მოთხოვნილია ამხანაგობის წევრის/წევრების საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე , მდებარე ქალაქი თბილისი , ქუჩა ამაღლება (ყოფ. დავითაშვილი), N 47, ნიშნული +3.00, სართული 2, საოფისე ფართი N3, ფართით 984.50 კვ.მ [ზონა:თბილისი, სექტორი:მთაწმინდა]

განცხადებაზე თანდართულია:

1. მხარეთა პ.მ ასლები
2. გადაწყვეტილება N141315894
3. დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება N141315801
4. ბრძანება ბ-12/143171045-16
5. განმარტებითი ბარათი
6. მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის ქაღალდისა და ელ.ვერსია

სარეგისტრაციო წარმოება უნდა შეჩერდეს და განმცხადებელს დამატებით უნდა მოეთხოვოს საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელი დოკუმენტის წარმოდგენა შემდეგ გარემოებათა გამო:
საჯარო რეესტრში შპს 'NGS Group'-ის /406073895/ წარმომადგენელის ნესტან ბუცხრიკიძის /01011043562/ მიერ წარმოდგენილი 882014655960 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქი თბილისი, ამაღლების (ყოფ. დავითაშვილი) ქუჩა N 47, ნიშნული +3.00, სართული 2, საოფისე ფართი N3-ზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.
სარეგისტრაციო წარმოების პროცესში დადგენილ იქნა, რომ 1. „ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 02.12.2014 წლის ბრძანება ბ-12/143171045-16-ით, ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ 29.10.2014 წლის ბრძანება N1565207-ით შეთანხმებული პროექტის შესაბამისად აშენებული ნაგებობა, შესაბამისად ამაღლების (ყოფ. დავითაშვილი) ქუჩა N 47-ში ექსპლუატაციაში მიღებული ფართებისა და მათზე უფლების რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს ბრძანება N1565207-ით შეთანხმებული პროექტის შესაბამისად; ბრძანება N1565207-ით შეთანხმებული და პროექტის სართულის გეგმაზე ასახული და ბრძანებით შეთანხმებული დამხმარე და სარდაფის ფართები არ შეესაბამება ერთმანეთს: ექსპლიკაციითა და საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია 498,1 კვ.მ. სარდაფის და 409 კვ.მ. დამხმარე ფართი , ხოლო ბრძანებით შეთანხმებულია 501,8 კვ.მ. და 404,4 კვ.მ. დამხმარე ფართი;
„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ პუნქტის თანახმად მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ: განცხადება ან/და თანდართული დოკუმენტი ან ინფორმაცია არ არის წარდგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმითა და წესით. ამასთანავე ,,საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მესამე პუნქტის თანახმად ,,მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით მოითხოვოს სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული

ნებისმიერი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად“.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად დამატებით წარმოსადგენია ერთმანეთთან შესაბამისობაში მყოფი პროექტის შეთანხმების კორექტირებული ბრძანება, საპროექტო დოკუმენტაცია; კორექტირებულ ბრძანებასა და საპროექტო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში მყოფი „ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის“ კორექტირებული ბრძანება: ბრძანებაში ასახული სარდაფისა და დამხმარე ფართები უნდა ემთხვეოდეს ამ ბრძანებით შეთანხმებული პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს; განაწილებული ფართების ცვლილების შემთხვევაში წარმოსადგენია ფართების განაწილების კორექტირებული დოკუმენტი; ამასთან გაცნობებთ, რომ ბრძანება N1565207-ით შეთანხმებული პროექტისა შესაბამისად შენობა წარმოადგენს VII სართულიან ნაგებობას, შესაბამისად +25,9 ნიშნულზე ფართების რეგისტრაციის განხორციელდება მხოლოდ ნიშნულის (სართულის გარეშე) მითითებით (შენობის მიწისზედა სართულიანობა განისაზღვრება ერთი შენობის მიწისა და მიწისზედა სრული და არასრული სართულების ჯამით).

"საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 21–ე მუხლის შესაბამისად შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება და შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოსადგენად განისაზღვროს ვადა: 30 კალენდარული დღე. აღნიშნულ ვადაში დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება და გადახდილი მომსახურების საფასური უკან დაბრუნებას არ დაექვემდებარება.

გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (მის.: ქ. თბილისი, წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ.#2) და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით.